



კითხვა-პასუხი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის წინასწარი მოკვლევა

პირველი მუდმივი სამართლებრივი ინსტიტუტის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროკურორის ოფისმა (OTP) განაცხადა, რომ იგი შეისწავლის ოთხ კონტინენტზე მდებარე ათი ქვეყნის, კერძოდ, ავღანეთის, ჩადის, კოლუმბიის, კოტ-დივუარის, საქართველოს, გვინეის, ჰონდურასის, ნიგერიის, კორეის რესპუბლიკისა და პალესტინის შემთხვევებს. დღეის მდგომარეობით, გამოქვეყნებულია წინასწარი მოკვლევის დასკვნები ერაყსა¹ და ვენესუელაში² მომხდარი სავარაუდო დანაშაულების შესახებ, რომლის საფუძველზეც სასამართლოს პროკურორის ოფისმა ამ საქმეთა შემდგომ წარმოებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ისინი გამოძიების დასაწყებად საჭირო კანონით დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ, ხოლო კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, უგანდას, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და სუდანის საქმეებში წინასწარი მოკვლევის შემდეგ სრულფასოვანი გამოძიება მიმდინარეობს. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაცია პირველადი „წინასწარი მოკვლევის“ ეტაპის შესახებ.

კითხვა: რას ნიშნავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის განცხადება იმის თაობაზე, რომ კონკრეტული ქვეყანა პროკურორის ოფისის წინასწარი მოკვლევის საგანი გახდა?

პასუხი: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი „რომის წესდების“ რატიფიცირებით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, გამოიძიოს „რომის წესდებაში“ მოცემული ისეთი დანაშაულები, როგორცაა გენოციდი, ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები. წესდების თანახმად, თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს აღნიშნული ვალდებულების შესრულებას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლება აქვს, დაიწიოს გამოძიება, თუ მოცემული შემთხვევა აკმაყოფილებს ყველა იურისდიქციულ მოთხოვნებს.

აღნიშნული გულისხმობს როგორც დროსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც მოცემულმა ტერიტორიამ მოახდინა „რომის წესდების“ რატიფიცირება), ასევე მატერიალურ მოთხოვნებს (კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, გენოციდი, ომის დანაშაული). ამასთან, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება

¹ http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/04D143C8-19FB-466C-AB77-4CDB2FDEBEF7/143682/OTP_letter_to_senders_re_Iraq_9_February_2006.pdf

² http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/4E2BC725-6A63-40B8-8CDCADBA7BCAA91F/143684/OTP_letter_to_senders_re_Venezuela_9_February_2006.pdf

მომზადებულია კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ

თარგმნა და დაარედაქტირა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ

2011 წელი



მხოლოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიებსა და მოქალაქეებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გადაცემა სასამართლოსათვის ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ (იხ. ქვემოთ), დაბოლოს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმის მისაღებობის შესახებ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობას მაინც აკმაყოფილებს:

- 1) საქმის სასამართლოსათვის გადაცემა მოხდა ხელშემკვრელი სახელმწიფო მიერ;
- 2) საქმის სასამართლოსათვის გადაცემა მოხდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, მე-4 თავის თანახმად;
- 3) ქვეყანა, რომელიც არ არის „რომის წესდების“ ხელშემკვრელი მხარე, წარადგენს დეკლარაციას მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რითაც თანხმდება ეთანხმება სასამართლოს იურისდიქციას.
- 4) სასამართლოს პროკურორი თავისი *proprio motu* უფლებამოსილების შესაბამისად გადაწყვეტს, გახსნას გამოძიება ცალკეული პიროვნებების, ჯგუფების, სახელმწიფოების, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მიღებული შეტყობინებებისა და ინფორმაციის საფუძველზე.

ამრიგად, წინასწარი მოკვლევის წამოწყება ხდება მაშინ, როდესაც შემთხვევა ზემოაღნიშნული პირობიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს, ხოლო, პროკურორის წინასწარი შეფასებით, საქმე დამატებითი ანალიზის საფუძველს იძლევა.

კითხვა: რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ახდენს პროკურორი საქმის მისაღებობის ანალიზს?

პასუხი: იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ჩარევა ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანა გამოძიებასა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას ეროვნულ დონეზე ვერ ან არ ახდენს, პროკურორმა უნდა განსაზღვროს, საქმე რამდენად აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კრიტერიუმს:

კომპლემენტარულობა: ამ დროს პროკურორი ადგენს, მიმდინარეობს ან დასრულდა თუ არა ეროვნულ დონეზე სასამართლო წარმოება ამავე დანაშაულსა და სავარაუდო დამნაშავეებთან დაკავშირებით.

სიმძიმე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოძიებასა და სამართლებრივ დევნას ახდენს მხოლოდ უმძიმესი დანაშაულის შემთხვევაში. დანაშაულის სიმძიმის ანალიზი ითვალისწინებს კონკრეტული სიტუაციის კონტექსტში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის მანერას, მასშტაბს, არსსა და გავლენას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოს პროკურორი გადაწყვეტს, რომ საქმე კომპლემენტარულობისა და სიმძიმის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, პროკურორის ოფისმა უნდა განახორციელოს „მართლმსაჯულების ინტერესთა“ ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს, ოფისის მიერ „მოცემული დანაშაულის სიმძიმისა და მსხვერპლთა ინტერესების გათვალისწინებით, იმის შეფასებას, არსებობს თუ არა საფუძველი, რომ გამოძიება მართლმსაჯულების ინტერესებს არ მოემსახურება“.



მომზადებულია კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ

თარგმნა და დაარედაქტირა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ

2011 წელი



კითხვა: რა სახის საქმიანობის განხორციელება შეუძლია პროკურორს წინასწარი მოკვლევის ფარგლებში?

პასუხი: „რომის წესდების“ მე-15 მუხლის თანახმად, „პროკურორს შეუძლია *proprio motu* ინიციატივით დაიწყოს გამოძიება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც არსებობს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ სავარაუდო დანაშაულთა შესახებ“. ამავე მუხლის თანახმად, „პროკურორი აფასებს მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობას. ამ მიზნით, მას შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოების, გაერო-ს ორგანოების, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ან სხვა წყაროებიდან, რასაც საჭიროდ ჩათვლის, ასევე, შეუძლია მიიღოს წერილობითი ან ზეპირი ჩვენება სასამართლოს მდებარეობის ადგილზე“. წინასწარი მოკვლევის ეტაპი პროკურორს საშუალებას აძლევს, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, განახორციელოს მისიები შესაბამის ქვეყანაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან შესახვედრად და მოახდინოს მოკვლენათა განვითარების მონიტორინგი.

იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს კაცობრიობის წინააღმდეგ სამომავლო დანაშაულთა, ომის დანაშაულთა ან გენოციდის საფრთხე, ან სადაც უკვე ხდება სავარაუდო დანაშაულთა ჩადენა, პროკურორის დროულმა ინტერვენციამ შესაძლოა იქონიოს ძლიერი გავლენა სამომავლო დანაშაულთა ჩადენის შესაჩერებლად.

კითხვა: რა ვადებში ხდება წინასწარი მოკვლევიდან გამოძიებაზე გადასვლა?

პასუხი: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურიდიული დოკუმენტები პროკურორის მიერ გამოძიების დასაწყებად კონკრეტულ ვადებს არ აწესებს. პროკურორის ოფისს პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით შემდეგი არჩევანი აქვს:

- 1) დაადგინოს, რომ კონკრეტული მოკვლევა არ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს გამოძიების დასაწყებად და, შესაბამისად, საქმის შემდგომ განხილვაზე უარი განაცხადოს;
- 2) გააგრძელოს ეროვნული სასამართლო წარმოების მონიტორინგი და/ან შეაგროვოს ინფორმაცია განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, რათა შეკრიბოს საჭირო იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლები გადაწყვეტილების მისაღებად;
- 3) გადაწყვიტოს გამოძიების გახსნა. იმისათვის, რომ პროკურორმა *proprio motu* უფლებამოსილებით იმოქმედოს, მან შესაბამისი ავტორიზაცია წინასაპროცესო პალატას უნდა სთხოვოს.

გამოძიების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროკურორი უნდა დარწმუნდეს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა შესაბამის მხარეებს ჰქონდათ ყველა იმ ინფორმაციის წარდგენის საშუალება, რომელიც მათ რელევანტურად მიაჩნდათ.

მომზადებულია კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ

თარგმნა და დაარედაქტირა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ

2011 წელი



დამატებითი მასალები:

ICC-OTP -ის ყოველკვირეული ბრიფინგები:

<http://www.icccpi.int/Menus/ICC/Structure+of+the+Court/Office+of+the+Prosecutor/Weekly+Briefings>

წინასწარი მოკვლევის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, 2010 წ.:

http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/E278F5A2-A4F9-43D7-83D2-6A2C9CF5D7D7/282515/OTP_Draftpolicypaperonpreliminaryexaminations04101.pdf

ICC-ის ვებ-გვერდი შეტყობინებების მიწოდებისა და წინასწარი მოკვლევების შესახებ:

<http://www.icccpi.int/Menus/ICC/Structure+of+the+Court/Office+of+the+Prosecutor/Comm+and+Ref/>

პოლიტიკის დოკუმენტი მართლმსაჯულების ინტერესთა შესახებ, ICC-OTP, 2007 წლის სექტემბერი:

<http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/772C95C9-F54D-4321-BF09-73422BB23528/143640/ICCOTPInterestsOfJustice.pdf>

CICC-ის ვებ-გვერდი სხვა ქვეყნებთან მიმართებით სასამართლოს განვითარებების შესახებ:

<http://www.coalitionfortheicc.org/?mod=developments>